ფინალი U12

1. მაგარი სასმელების მწარმოებელმა კომპანიამ, ჯონი უოქერმა გამოუშვა შეზღუდული რაოდენობის ვისკი ამ სერიალის მოყვარულთათვის. ვისკის ბოთლი სტილიზებულია გაყინულ და თოვლისფერ თეთრ ფერებში. დაასახელეთ რომელ სერიალზეა საუბარი.

პასუხი: სატახტოთა თამაში
კომენტარი: GoT, Game of Thrones, იგრა პრესტოლოვ
კომენტარი: კომპანია ჯონი უოქერმა გამოუშვა შეზღუდული რაოდენობის ვისკი გაყინულ და თოვლისფრად სტილიზებულ ბოთლში, რომელსაც დაარქვა White Walker, ანუ თეთრი მოხეტიალე. თეთრი მოხეტიალეები გვხვდებიან სერიალში - სატახტოთა თამაში. სწორი პასუხია სატახტოთა თამაში.

2. სპარსელი აბუ ალი იბნ სინა, უფრო ცნობილი, როგორც ავიცენა, წერდა ასტრონომიაზე, ალქიმიაზე, გეგრაფია-გეოლოგიაზე, ფსიქოლოგიაზე, მედიცინაზე, ისლამურ თეოლოგიაზე, ლოგიკასა და მათემატიკაზე. მისი ამგვარი მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო ისტორიკოსი ნიკა ხოფერია მას აღმოსავლეთის **იქსს** უწოდებს. **იქსი** ევროპაში მეთხუთმეტე საუკუნეში, რენესანსის ეპოქაში, გამოჩნდა. დაასახელეთ **იქსი.**

პასუხი: და ვინჩი
კომენტარი: პოლიმათი ეწოდება ადამიანს, რომლის ინტელექტუალური შესაძლებლობები და ინტერესები არ არის შეზღუდული და შეუძლია მრავალი მიმართულებით განავითაროს თავისი ცოდნა. ავიცენაც პოლიმათია, ისევე როგორც მისი ევროპელი კოლეგა - ლეონარდო და ვინჩი. ავიცენას უწოდეს აღმოსავლეთის და ვინჩი.

3. ერთ მიმზე განხილული იყო ერთი მოვლენის შესაძლებელი სახელები, თუ ის სხვა ქვეყნებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ სახელთა რამდენიმე ვარიანტი დაგირიგდათ თქვენ. დაასახელეთ 2016 წელს მომხდარი ეს მოვლენა.

Deutschleave
Quitaly
Departugal

პასუხი: ბრექსიტი
ჩათვლა: ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა
კომენტარი: მიმის ავტორის აზრით, გერმანიას რომ ევროკავშირი დაეტოვებინა, ეს მოვლენა ცნობილი გახდებოდა როგორც Deutschleave [დოიჩლივ]. იტალიის შემთხვევაში - Quitaly [ქუითალი], ხოლო პორტუგალიის შემთხვევაში - Departugal [დიფართუგალ]. სინამდვილეში ევროკავშირი 2016 წელს დატოვა დიდმა ბრიტანეთმა. ეს მოვლენა ცნობილია ბრექსიტის სახელით. სწორი პასუხია ბრექსიტი.

4. **იქსი** ჯერჯერობით არ გამოჩენილა, ვინაიდან 3000 მათგანი ჯერ კიდევ ცხოვრობს ვისკონსინის შტატის ტერიტორიაზე. ჯეიმს ფენიმორ კუპერის ნაწარმოების მიხედვით, უნკასი არ არის **იქსი,** რადგან ის მამამისზე ადრე კვდება. დაასახელეთ **იქსი** ორი სიტყვით.

პასუხი: უკანასკნელი მოჰიკანი
კომენტარი: მოჰიკანები ჯერ კიდევ განაგრძობენ ცხოვრებას ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში. სულ მცირე რამდენიმე თაობა მაინც არის მათგან მოსალოდნელი. ჯეიმს ფენიმორ კუპერის ნაწარმოების მიხედვით უნკასი მამამისზე ადრე კვდება, ამიტომაც სიტყვათშეთანხმება "უკანასკნელი მოჰიკანი" რეალურად ჩინგაჩგუკს მიემართება. სწორი პასუხია უკანასკნელი მოჰიკანი.

5. მარველის ერთ-ერთი კომიქსი დაფუძნებულია სუპერგმირთა ჯგუფზე, რომელშიც შედიან ეროიანი ბაყაყი - თროგი, ვალკირია - ბრუნჰილდი, ჯალათი - სკერჯი და სხვები. კომიქსის სახელში გამოტოვებულია ორი ასო. აღადგინეთ კომიქსის სახელი საწყისი ფორმით.

gardians of the Galaxy

პასუხი: Asgardians of the Galaxy
კომენტარი: ალბათ შეამჩნიეთ მართლწერის შეცდომა და პერსონაჟებზე სკანდინავიური მითოლოგიის გავლენა. კომიქსს არა გალაქტიკის მცველები, არამედ გალაქტიკის ასგარდელები ჰქვია. სწორი პასუხია Asgardians of the Galaxy.

6. ვარსკვლავური ომების სამყაროში გვხვდება გალაქტიკური სავაჭრო ფედერაცია, რომელიც აკონტროლებს სავაჭრო გზებს და საბაზრო ფასებს გალაქტიკაში. სიმბოლურია, რომ ფედერაციის გენერალური მდივნის ხომალდს ჰქვია **იქსი.** თუმცა ხომალდის შემჩნევა შეუიარაღებელი თვალითაც კი საკმაოდ შორიდან არის შესაძლებელი. დაასახელეთ **იქსი** ორი სიტყვით.

პასუხი: უხილავი ხელი

კომენტარი: მიუხედავად მისი სახელისა, ის ძალიან კარგად ჩანს. გალაქტიკური სავაჭრო ფედერაციის გენერალური მდივნის ხომალდს ჰქვია ცნობილი შოტლანდიელი ანალიტიკოსისა და ეკონომისტის, ადამ სმითის, შემოღებული ტერმინი - უხილავი ხელი. თავისუფალ ბაზარში ბაზრის უხილავი ხელი განსაზღვრავს საბაზრო ფასებს მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით. სწორი პასუხია უხილავი ხელი.

7. 1140 წელს საღვთო რომის იმპერატორს, კონრად მესამეს ალყაში ჰყავდა მოქცეული ქალაქი ვეინსბერგი. კონრადს გადაწყვეტილი ჰქონდა ქალაქის მიწასთან გასწორება, თუმცა სანამ საბოლოო იერიშს მიიტანდა, მხოლოდ ქალებს მისცა უფლება მშვიდად დაეტოვებინათ ქალაქი და თან წაეღოთ, რის ტარებასაც საკუთარი ზურგით შეძლებდნენ. ქალებმა არც კი დააყოვნეს და თან წაიღეს… ყურადღება, შეკითხვა: რა წაიღეს?

პასუხი: ქმრები
ჩათვლა: კაცები
კომენტარი: ქალებმა ყველა სხვა საქონელს თავიანთი მეუღლეები ამჯობინეს. სწორი პასუხია ქმრები.

8. ერთ ანიმეში გვხვდება უმაღლესი რანგის სუპერგმირი, რომლის სუპერძალაც მდგომარეობს იმაში, რომ ის უკვდავია. სხვა ძალა ან უნარი მას არ გააჩნია. მის სახელში ფიგურირებს ერთი აფრიკული წარმოშობის სიტყვა. დაწერეთ ეს სიტყვა.

პასუხი: ზომბი
კომენტარი: ამ ფიქტიურ არსებებს არანაირი გამორჩეული უნარი არ აქვთ გარდა იმისა, რომ უკვდავები არიან. კითხვაში ნახსენებ სუპერგმირს ჰქვია ზომბიმენი. სწორი პასუხია ზომბი.

9. კლონების ომების ერთ-ერთ ეპიზოდში გვხვდება მექანიკოსი დროიდი (რობოტი) რომელიც სპეციალიზებულია ფეთქებადი მოწყობილობების განეიტრალებაში. მისი მოდელის ნომერში ჩვენ გამოვტოვეთ ორი სიმბოლო. დაწერეთ ეს ორი სიმბოლო პასუხის ფურცლებზე.

U9 - _ _

პასუხი: C4
კომენტარი: ერთხელ მაინც თუ გაქვთ ქაუნთერ სტრაიკი ან ნებისმიერი სხვა შუთერი ნათამაშები, თქვენთვის ეს უცხო არ უნდა იყოს. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ფეთქებად ნივთიერებას ჰქვია კომპოზიცია ოთხი, შემოკლებით - C4. სიმბოლურია, რომ ეს ორი სიმბოლო ასაფეთქებლების გამნეიტრალებელი დროიდის მოდელის ნომერშიც ფიგურირებს. სწორი პასუხია C4.

10. ჯეიმს ფენიმორ კუპერის წიგნში “უკანასკნელი მოჰიკანი” ჩინგაჩგუკის ძმდნაფიცი ნეტი ბამპო ოსტატურად ხმარობს შაშხანას და მარტივად ახვედრებს შორ სამიზნეებს. მისი

გამორჩეული მიზნის გამო ნეტი ბამპოს შეარქვეს **იქსი.** ერთ კომიქსში **იქსი** დამუხტული ისრით ამარცხებს კოლექციონერს. დაასახელეთ **იქსი.**

პასუხი: ქორის თვალი
კომენტარი: მარველის ერთ კომიქსში კოლექციონერი დიად ძალას მოიკრებს, რომელსაც საბოლოოდ კლინტ ბარტონის დამუხტული ისარი გაანეიტრალებს. კლინტ ბარტონის ისევე, როგორც ნეტი ბამპოს მეტსახელი არის ქორის თვალი. სწორი პასუხია ქორის თვალი.

11. ერთ სახუმარო გვერდზე დარიგებული ფოტო დასათაურებული იყო, როგორც **იქსი. იქსი** მიღებულია პაპუა ახალი გვინეის, კონგოს, კამბოჯის და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირე ტომებში. დაასახელეთ **იქსი** ლათინური წარმოშობის სიტყვით.

პასუხი: კანიბალიზმი
კომენტარი: აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირე ტომებში, რომლებიც ტექნიკური და კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან, მიღებულია ადამიანების ხორცის ჭამა. ფოტოს, რომელზეც კივი ჭამს კივის, ხუმრობით უწოდეს კანიბალიზმი. სწორი პასუხია კანიბალიზმი.

12. **ტრიპლეტი** (ქულის ასაღებად საჭროა სამივე კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა): დაასახელეთ ფილმები, რომელთა მინიმალისტურ აღწერასაც ახლა მოისმენთ.
მაგალითი: მდიდარი ქალბატონი დატოვებს ხელმოცარულ კაცს სიკვდილამდე გასაყინად - ტიტანიკი

1) ოჯახის პირველი საერთო შვებულება ძალიან ცუდად მთავრდება. დაასახელეთ ფილმი ჯეკ ნიკოლსონის მონაწილეობით.
2) მამის სიკვდილის შემდეგ, ახალგაზრდა ბიჭი დაუმეგობრდება ჰიპებს და გახდება ვეგანი. დაასახელეთ 1994 წლის დისნეის ანიმაცია.

3) მელოტი კაცი დაუმეგობრდება მეორე მელოტ კაცს, რათა დაამარცხონ სხვა მელოტი კაცი. დაასახელეთ 8 ეპიზოდისგან შემდგარი საგა.

პასუხი: ნათება (The Shining), მეფე ლომი (The Lion King) და ფორსაჟი (Fast and Furious)
კომენტარი: პირველ კითხვაზე სწორი პასუხია ნათება, მეორეზე - მეფე ლომი, ხოლო მესამეზე - ფორსაჟი.

13. 1903 წელს ავტომოყვარული ენთუზიასტი, ჰორაციო ნელსონ ჯექსონი, 50 დოლარზე დანიძლავდა, რომ ავტომობილით შეძლებდა ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპირომდე ჩასვლას. მან და მისმა თანაშემწემ, სიუელ კროკერმა 63 დღე მგზავრობისა და ბევრი თავგადასავლის შემდეგ ჩააღწიეს ნიუ იორკში და მოიგეს სანაძლეო. ამ მოვლენის შემდეგ ჰორაციო ნელსონ ჯექსონს შეარქვეს ნამდვილი **იქსი.** დაწერეთ **იქსი** ერთსა და იმავე ასოზე დაწყებული სახელი და გვარის გამოყენებით.

პასუხი: ფილეას ფოგი
კომენტარი: თავგადასავლის შემდეგ კროკერ ნამდვილი პასპარტუს მეტსახელს დასჯერდა, ჯექსონს კი ნამდვილი ფილეას ფოგი შეარქვეს. სწორი პასუხია ფილეას ფოგი

14. თითქმის ყოველი წლის პირველ ოქტომბერს სოციალურ ქსელებში ვრცელდება ფრაზა - "გაიღვიძე, ბილი!" დაასხელეთ კოლექტივი, რომლის წევრიც გახლავთ ზემოთხსენებული ბილი.

პასუხი: Green Day [გრინ დეი] (შეგიძლიათ პასუხად სიმღერა გაუშვათ)
ჩათვლა: მწვანე დღე
კომენტარი: ცნობილმა მუსიკოსმა და არტისტმა, ბილი ჯო არმსტრონგმა თავის ჯგუფთან ერთად 2005 წელს გამოუშვა სიმღერა სახელად "გამაღვიძეთ, როდესაც სექტემბერი დამთავრდება". ფანები ყოველი სექტემბრის შემდეგ აწუხებენ ბილის გასაღვიძებლად. ბილი ჯო არმსტრონგი გახლავთ ამერიკული როკ-ჯგუფ Green Day-ს ვოკალისტი. სწორი პასუხია Green Day.

15. ეს გერმანელი სწავლობდა იმას, რაც თქვენც ძალიან მარტივად შეგიძლიათ დაამზადოთ ქაღალდის, მაკრატლისა და წებოს გამოყენებით. სერიალ ფუტურამას ერთ ეპიზოდში რბოლა ეწყობა ამ გერმანელი მათემატიკოსის სახელობის ტრასაზე, რომელზეც მრბოლელებს ორის მაგივრად მხოლოდ ერთი წრის დარტყმა უწევთ. დაასახელეთ ამ გერმანელის გვარი.

პასუხი: მებიუსი
კომენტარი: თუ მოჭრით ფურცლის ვიწრო ლენტს, ერთ ბოლოს 180 გრადუსით ამოაბრუნებთ და ისე დააწებებთ მეორე ბოლოს, მიიღებთ ფიგურას, რომელსაც მხოლოდ

ერთი ზედაპირი აქვს. ფუტურამას ერთ ეპიზოდში სწორედ ამ ფორმის ტრასაზე ტარდება რბოლა, რის გამოც მრბოლელები ორი წრის ეკვივალენტ მანძილს ფარავენ ერთ წრეში. ამ ფიგურას სწავლობდა გერმანელი მათემატიკოსი აუგუსტ ფერდინანდ მებიუსი. სწორი პასუხია მებიუსი.